



## ხეხილის ბადის მოწყობის პროექტი (დონორი: ისრაელის საელჩო) 2016-2017 წწ.

2016 წლის 20 აპრილს, ისრაელის საელჩომ და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მაშავის ცენტრმა, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეს“ პროფესიულ კოლეჯ „ფერმერთა სკოლას“ განვითარებისა და გაფართოებისთვის გამოუყო გრანტი, რომელიც ითვალისწინებდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდაში, „ფერმერთა სკოლის“ პროგრამის - „მეხილის“ განხორციელებისთვის პრაქტიკული სწავლების ბაზის შექმნას.

პროექტის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში შეძენილ იქნა 2 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენდა ვაშლის, მსხალის, ნუშის, ბლის, ალუბლის, ატმის, ქლიავისა და სხვა ხეხილის კოლექცია.

მოხდა მიწის ნაკვეთის საფუძვლიანი შემოღობვა და მოეწყო თანამედროვე ტიპის წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

პროექტის დასასრულს, ისრაელის ელჩმა თავად მოინახულა, როგორც „ფერმერთა სკოლა“, ასევე გაშენებული ხეხილის ბაღი.



